საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1915 2023 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის №1740 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის №1740 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის სასტუმროში გადაყვანის, სასტუმროს ხარჯების დაფინანსებისა და სტიქიის ზონაში მომუშავე სპეციალიზებული ტექნიკის მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო

ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 1 876 000 (ერთი მილიონ რვაას სამოცდათექვსმეტი ათასი) ლარი, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – 870 000 (რვაას სამოცდაათი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა.ა) სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსების მიზნით – 320 000 (სამას ოცი ათასი) ლარი;

ა.ბ) სტიქიის ზონაში მომუშავე სპეციალიზებული ტექნიკის მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით – 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – 1 006 000 (ერთი მილიონ ექვსი ათასი) ლარი, მათ შორის:

ბ.ა) სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსების მიზნით – 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარი;

ბ.ბ) სტიქიის ზონაში მომუშავე სპეციალიზებული ტექნიკის მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით – 766 000 (შვიდას სამოცდაექვსი ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**